მირზა რეზა ხან არფა’ ად-დოულე, „პრინც არფა’ს მოგონებები“, (1876-1894)

Khāterāt-e Perens Arfa‘, be kūshesh-e ‘Alī Dehbāshī, Tehran, 1378/1999.



თბილისში მცხოვრები ირანელები, როგორც ვაჭრები, ისე ხელოსნები, ძალიან თბილი ხალხია. ქალაქში ორი ქარვასლაა: ხალათოვის და მირზოევის. ირანელი ვაჭრები და ხელოსნები, ვისაც ცოლ-შვილი არ ჰყავს, ამ ქარვასლებში ქირაობენ ოთახებს, სადაც თან ცხოვრობენ და თან ვაჭრობენ. თბილისში დაახლოებით 10 000 ირანელია, რომელთა უმეტესობა შავი მუშაა. აქაური მეთუნეები, ძირითადად, სალმასის, დილმაყანის და ურმიას რაიონებიდან არიან, ფილაქნის დამგებები კი - მარაღადან, თავრიზიდან, მარანდიდან და ხოიდან. თბილისელი დიდვაჭრები არიან ჰაჯი მოჰამად ბაყერ რეზაიოვი, ჰაჯი ფათჰალი, მოჰამად აყა თოჯარბაში, ჰაჯი მეჰდი აყა და ჰაჯი მოჰამად ებრაჰიმი.

(სპარსულიდან თარგმნა მ. ალექსიძემ)